თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2015 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 სექტემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 სექტემბრის №22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 17/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.126.016107) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-11 მუხლის მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 10 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **სოფიო ბუსკივაძე**